საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2013 წლის 15 მარტის
დადგენილება №899

სტუ-ში სწავლების საფასურის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლების წლიური (60 ECTS კრედიტი) საფასური აკადემიური უმაღლესი განათლების სტუდენტებისათვის, რომლებიც 2013-2014 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან გააფორმებენ საფინანსო ხელშეკრულებას:

სწავლების ენა	საქართველოს მოქალაქეები			უცხო ქვეყნის მოქალაქეები		
	ბაკალავ-რიატი	მაგისტ-რატურა	დოქტო-რანტურა	ბაკალავრიატი	მაგისტ-რატურა	დოქტო-რანტურა
ქართული	2250 ლარი	2250 ლარი	2250 ლარი	1900 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში	2000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში	2400 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში
რუსული	2250 ლარი	2250 ლარი	2250 ლარი	2000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში	2400 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში	2700 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში
ინგლისური	2250 ლარი	2250 ლარი	2250 ლარი	3200 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში	3500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში	4000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში

2. სწავლების წლიური (60 ECTS კრედიტი) საფასური აკადემიური უმაღლესი განათლების სტუდენტებისათვის, რომლებმაც 2012-2013 სასწავლო წელს გააფორმეს საფინანსო ხელშეკრულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ძალაში დარჩეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ივნისის №696 დადგენილების I და II პუნქტები.
3. 2013-2014 სასწავლო წლიდან ბაკალავრიატის მცირერიცხოვან (1-4 სტუდენტი) ჯგუფებში არ იქნას გამოყენებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ივნისის №696 დადგენილების III პუნქტით გათვალისწინებული კოეფიციენტები.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე